



მაკა სალია, ტარიელ ფუტყარაძე

ამასიის რეგიონში მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების სოფლები და ენობრივ-ეთნიკური იდენტობა¹

ამასიის პროვინცია მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში და მიეკუთვნება შავი ზღვისპირეთის რეგიონს. პროვინციის ცენტრი არის ქალაქი ამასია, რომელსაც 3000-წლოვანი ისტორია აქვს. ივარაუდება, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულში ამასიის მხარე იყო ხათების სახელმწიფოს ნაწილი. ბერძნული წყაროების მიხედვით, ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ამასია იყო უძველესი ქართველური ტომების - თაბალების/თობელების, ტიბარენების/ტობარენების განსახლების არეალი (დოკუმენტური წყაროების ანაღზისათვის იხ.: ფუტყარაძე, 2005: 100-103²). ცნობილია, რომ მოგვიანებით ამასია შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში, შემდეგ კი მოექცა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ოსმალეთის იმპერიაში ამასიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: აქ სულთნის შვილები იღებდნენ განათლებას, ამიტომაც მას უფლისწულების ქალაქსაც კი ეძახდნენ. ამასიის პროვინცია მოიცავს 7 რაიონს. ესაზღვრება თოქათის, იოზგათის, სამსუნისა და ჩორუმის პროვინციები.

თურქეთის შავი ზღვის რეგიონი ცნობილია ქართული დასახლებებით. მათ შორისაა **ამასიის პროვინციაც**. აქაც არის საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარიდან - აჭარიდან (აჭარისწყლის ხეობიდან, მაჭახლიდან, ქობულეთიდან, ჩაქვიდან) 150 წლის წინ გადმოსახლებულ ქართველ მუჰაჯირთა სოფლები. შოთა რუსთაველის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში 2019 წელს მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან მოციპოვით მეტად საინტერესო მასალა, რომელიც

¹ სტატია დამუშავებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ქართველურ-თურქულ სამეცნიერო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (FR-18-14869, ხელმძღვანელი - პროფ. ტარიელ ფუტყარაძე) ფარგლებში.

².



საინტერესოა მიგრაციის ისტორიის, ქართული კულტურის, ენობრივი იდენტობისა და სხვა მიმართულებებით.

ამასიის პროვინციის მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაში ქართველთა აღმნიშვნელად გამოიყენება ტერმინები: „**გურჯუ/ი**“ (ჩვენ გურჯები უარტ...) და „**ჩუენებური**“ („ჩუენებური ხარ თუ?“, „ჩვენებური იყო ერთი“...); შესაბამისად, ქართულ ენას ეწოდება **გურჯუჯე** ან **გურჯიჯაი** (გურჯუჯაი ლაპაიკობდა) და „**ჩუენებურაი**“ (ჩუენებურაი იცი თუ? ჩუენებურაი იცოდა, თურქე არ იცოდა...). რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ ამჟამად მათთვის არაა უცხო ტერმინები: „**ქართული**“, „**ქართული**“, მაგრამ უშუალო წინაპართაგან ეს ფორმები არ სმენიათ: ისინი ქართველთა აღსანიშნავად გურჯებს იტყოდნენო, უფრო მაინც „**ჩუენებური**“ ფორმა იყო გავრცელებულიო. მათივე ახსნით, „ეს ჩუენებური, ჩუენებურა გურჯების პაროლა იყო; თურქებზე კუდიანიო იტყუიან, და და ბოლოკაიო (შდრ.: ყიზილბაში)“. ტერმინ „**ჩუენებურს**“ ამგვარად ხსნის თურქეთის თითქმის ყველა რეგიონში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირი. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ნაწილისათვის დღეს მიუღებელია ეს ფორმა: ჩვენ ქართველები ვართ და ეს ხელოვნური ფორმა - ჩვენებური“ ჩვენს აღსანიშნავად რა საჭიროაო.

ამასიელი ქართველები თავის თავს **დოხსან უჩ ჰარბის მუჰაჯირებსაც** (თურქ. **Doksan üç harbi muhacirleri** „93 წლის მუჰაჯირები“) უწოდებენ: 1878 წელს, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (მაშინ - რუსეთის იმპერიის ბათუმის ოლქში) მუჰაჯირობის პროცესი დაიწყო, ჰიჯრით (მუსლიმანური კალენდრით, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში მიღებული იყო 1922 წლამდე) 1293 წელი იდგა. აქედანაა ეს სახელწოდება, რომელიც ამჟამად თითქმის მთელ თურქეთშია გავრცელებული (ამ საკითხზე ვრცლად იხ. ქასაბი, 2019:23-34).

ამჟამად ამასიის ილში ქართველებით დასახლებული სოფლებია: მერქეზ-ილჩეში - **აქიაზი** (Akıyazı), **ბელდაღი** (Beldagı köyü), **ჩათალჩამი** (Çatalçam köyü), **იუვა** (Yuva köyü); თაშოვას ილჩეში - **თენეკე** (Altınlı), **ჩერმული** (Ilicapınarı köyü), **ტათლიფუნდარი** (Darmaderesi). ქვემოთ მათ უფრო დაწვრილებით მიმოვიხილავთ:



აქიაზი

ამასიის ქართულ სოფლებს შორის, განსაკუთრებით გამორჩეულია აქიაზი. ამბობენ: ეს ნამდვილი გურჯული, აჭარული სოფელიაო. აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. აქაური ვაჟები არაიშვიათად, ქორწინდებიან ხოლმე სხვა ეროვნების ქალებზე, მაგრამ ოჯახების უფროსები რომ ქართველობენ, ბავშვებიც ქართულად იზრდებიან და უცხოელი რძლებიც ქართველდებიან. დღევანდელი მონაცემებით, აქიაზიში მუდმივად სახლობს სულ 41 კაცი.

„სოფელში მხოლოდ გურჯები ცხოვრობენ, პირველი მოსულებიც გურჯები არიან. ოთხი ძმა წამოსულა ხულოდან, ორი აქ, აქიაზიში დასახლებულა, ორიც სხვაგან წასულა“ (ფუტკარაძე, 2017, 97). ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, ქართველი მუჰაჯირები პირდაპირ კი არ მოსულან აქიაზიში, არამედ ჯერ სტამბოლში, იზმითში, ადაფაზარში, მერსინში, ისქენდერუნსა და სამსუნში დაფანტულან და მოგვიანებით დამკვიდრებულან ამასიის სოფლებში.

აქიაზში პირველად სულ 7 ოჯახი დასახლებულა. მთქმელის ახსნით, იმ დროისთვის ეს ტერიტორია კერძო პირის მამული ყოფილა; დღევანდელი სოფლის ცენტრში არსებული ისტორიული მუხის გვერდით 6 ფერმის სამყოფი ცხვრის ფარის გასაჩერებელი ადგილი იყო. სოფელში ჩამოსული პირველი 7 ოჯახი უბან **დელირმენდერესა** და მეჩეთს შორის მდებარე ტერიტორიაზე დასახლებულა. ბათუმიდან მიგრაცია რომ გაძლიერდა, სოფელი ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით გეგმიურად გაფართოვდა.

სოფელ აქიაზის დაარსების პირველივე დღიდან მოყოლებული, გაშენდა და მოეწყო მთავარი გამზირი, შიდა ქუჩები, სოფლის ცენტრი, მეჩეთი, წყაროები... ორსართულიანი კრამიტით გადახურული სახლები, რომლებსაც გვერდით, წინ და უკან ჰქონდა ბალები, დღემდეა შემორჩენილი. სოფლის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა. ძირითადად მოჰყავდათ, ქერი, ხორბალი და შაქრის ჭარხალი.

სოფლის შემოგარენი მუხნარით არის დაფარული და სოფელი შეშის მარაგს ამ ტყიდან მოიპოვებდა. ადრე სოფელი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული: 80-90 კომლისაგან (დაახლ. 500-600 კაცისგან) შედგებოდა. მიწის სიმცირის გამო,



აქაურ მოსახლეთა უმეტესობა აქედან წავიდა და ამასიაში, ანკარაში, სტამბოლში, იზმირში და სხვა დიდ ქალაქებში დასახლდა. შრომისმოყვარე, ერთგული და პატიოსანი აქიაზელი ქართველები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მთელ ამასიაში.

მთქმელები დიდი გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ამ წმინდა ქართულ სოფელში მოქართულეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. მიუხედავად ამისა, აქიაზელებს ქართული **ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა** შენარჩუნებული აქვთ. ისინი დიდი სიამაყით აღნიშნავენ, რომ გურჯები არიან: „ჩვენმა დედებმა თურქე ჰიჩ არ იცოდენ, თლა გურჯუჯე ლაპადკობდენ; სულ კაი მაშინ იყო; ენა დაჟკარგეთ, მარა გურჯები ჟართ და ენ კაი ჩჷენა ჟართ“.

ახალგაზრდებმა თითქმის არ იციან ქართული ენა. ამის ფონზე, საინტერესოა, რომ აქიაზის მკვიდრი **ენეს ილმაზი** დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენის მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტია. ის გვიყვება: „ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ დუზჯეს უნივერსიტეტში ქართული ენის განყოფილება გაიხსნა. ვიფიქრე რომ ღმერთმა მომცა შანსი, რომ დავუფლებოდი ქართულ ენას. სახლში მშობლები იშვიათად, მაგრამ მაინც ლაპარაკობდნენ ქართულად. ჩვენ ყოველთვის გვეუბნებოდნენ რომ ქართველები ვართ... სხვა სპეციალობაზე ვაპირებდი ჩაბარებას, მაგრამ ეს როცა გავიგე, წუთით არ დავფიქრებულვარ ისე გავაკეთე არჩევანი და მე ძალიან ბედნიერი ვარ.“

ენესი იზმითში ცხოვრობს, მაგრამ ხშირად ჩადის აქიაზიში; ენესი თვითონაც დაინტერესებულია, ამასიის ქართველებში შემორჩენილი ქართული მეტყველების თავისებურებებით, წინაპართა ენით, კულტურით; მისი სამაგისტრო ნაშრომიც ამ საკითხს ეძღვნება. ენესის ქართული გვარი **კახიძეა**. მეორე სახელად ბექას ატარებს, რომელიც მას ქართველმა მეგობარმა შეურჩია. კახიძეებმა იციან თავიანთი ფუძესოფელი - **ბელლეთი**. ენესი საქართველოში ამ სოფელს ხშირად სტუმრობს ხოლმე.

კახიძეების გარდა აქიაზში ასახელებენ შემდეგ ქართულ გვარებს **ხმალაძე, შაჟაძე, შანთიძე, ფანჩიძე, თურმანიძე**. კახიძეები და ხმალაძეები **ბელლეთიდან**



ყოფილან; შავაძეები **ბოძავრიდან**. ფანჩიძეები და თურმანიძეები **ბაზგირეთიდან** არიანო.

ბელდალი

აქ ცხოვრობენ 1879 წელს მაჭახელადან, ხელვაჩაურიდან შუახევიდან და ხულოდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავლები, სულ - 562 კაცი. მთქმელები ასახელებენ შემდეგ ისტორიულ სოფლებს (საიდანაც გადმოსახლდნენ): **ჩხუტუნეთი, ზედვაკე, ბელლეთი, კირნათი, კახაბერი, ცხემლანა, ღურტა...** (იხ. აგრეთვე: ფუტკარაძე, 2017:96). სოფლის მკვიდრთ ავეკთ ოფიციალური გვარებიც და მეტგვარებიც; მეტგვარებია: **ნადიროდლი, ფაშალოდლი, ბაირახტაოდლი, ხოჯიოდლი, უსტაბექიოდლი, ჭირიანოდლი, მოლახასანოდლი, ყადიოდლი, ჯახეოდლი, ფეჟიოდლი, უსტახასანოდლი, ნადიროდლი, ოდაბაშოდლი**. არ იციან ქართული გვარები; უფროსმა თაობამ უკეთ იცის ქართული, ვიდრე უმცროსმა. ბელდალში შედის შემდეგი უბნები: **გალმასირა, ჯამიკარი, წიაპა, ყარანა, ყარაფუნყარი** (ფუტკარაძე, 2017:96). შემონახულია ქართული მიკროტოპონიმები: **ზემო ყანები, წისქვილის კარი, ვაკიები, გაღმა ჭალა...** მთქმელის აღნიშვნით, ბელდალი არის სოფელი, რომელმაც ქართველი მოლები გამოზარდა: „მუსლიმები ჭარო, მაგრამ გულით, სისხლით - გჳრჯები“.

1950 წლამდე ბელდალში, ძველი ზემოაჭარული ჩვეულების მიხედვით, ზოგიერთ ოჯახს ეზოებში სტუმრის მისაღებად ცალკე ოთახი (საყონალო) ედგა, თუმცა დროთა განმავლობაში, ეს ჩვეულება მოიშალა. ადრე შემორჩენილი ყოფილა ასევე, **ნადის** ჩვეულებაც. 1970-იან წლებამდე ყანებს გუთნით ხნავდნენ, ტვირთების საზიდად კი ურემს იყენებდნენ. დღეისათვის სოფელში 40 ურემია შემორჩენილი. სოფლის მოსახლეობა ფერმერობას მისდევს.

დღესდღეობით ბელდალში მოჰყავთ: თუთუნი, ხორბალი. სიმინდი, ლობიო, მუხუდო და ჭარხალი. სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი საცხოვრებლად ძირითადად სტამბოლშია გადასული, ან საზღვარგარეთაა.

ჩათალჩამი



1878 წელს დარსებული ეს სოფელი მდებარებს ამასიის ცენტრიდან 47კმ დაშორებით. სახლობენ ძირითადად მაჭახლელები - სულ 88 კაცი. სოფლის კლიმატი ძალიან ჰგავს მაჭახლის კლიმატს, ამიტომაც აქ ძირითადად მისდევენ მეცხოველეობას. ენა არ დაუკარგავთ და ქართულად საუბრობენ. სოფლელების ოსმალური მეტგვარებია: სადიქოღლები, სურიტოღლები, ლემსიოღლები, რეშითოღლები, გოთოღლები.

იუვა

იუვადან ამასიამდე 55 კოლომეტრია. აქ ცხოვრობენ მაჭახლელ ქართველთა შთამომავალნი, სულ - 242 კაცი.

სოფლის მიკროტოპონიმებია: ბადირან მაღლა, ყოჩბოძნუზი, ჩამლიბურნუ, ემნედოლუ, სირაჩაღლარი, დევეჯის სახლი, ფატმაფუნდარი, კირემითლუდი, სოქმეთარლა, ქოჯასული, გურგენლუდი, ერიქლიდერე, თაშთექნე, ქურქუქოღლი, მეშელიდუზი, ქირამფა, ქაჩადი, ქალაილიჩალი, ქურქუქალი, ბუაუქალი, ბოჯუქონუ, სივრიჩალი, იასსიჩალი, ქოჯადობადი, ქულლუქი, ჩუქურუ, ქააარდი, ევლია (სუთბაბა), ქურუქოფრუ, გავურევლერი, სუდუშენ, გოქჩელიქ. ოქუზმათადი, ქუშფუნდარი, ქირენლიბურუნი, აუქარგ თარლაღარგ, დერეთარლაღარგ, მისირ ჰოჯა, დანაჯიოღლუ, აოღმაჯა, ჯამიერი, გოზ, დერელერ, აოლუსთუ, ალმაღექ, ააღბაღქოჯა, თექმეზერ, ისირგარნიდერე, ქოჯათეფე, ააზიღარგ ქოაღონუ.

მიწა ხვნა-თესვისათვის უვარგისია, ამიტომ 1970 წლამდე განვითარებული იყო მეცხოველეობა. შემდგომ, თითოეული ოჯახიდან მინიმუმ ერთი მამაკაცი იძულებული გახდა, რომ საშოვარზე ევლო დიდ ქალაქებში.

1969 წლიდან მოყოლებული დაიწყო მუშების მიგრაცია გერმანიაში, პოლანდიასა და საფრანგეთში. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, სტამბოლში, იზმირში, ბურსაში დაიწყეს საქმიანობა და დამკვიდრება. იმ ან, რომ მიწები იყო გამოუსადეგარი ხელი შეუწყო ხელსაქმის სწავლა-განვითარებასაც: სოფელში არ მოიძებნებოდა ისეთი ოჯახი, სადაც ქალებს ხელსაქმე არ შეეძლოთ.



იუვაში მრავლად იყვნენ ხელოსნები, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა ქვაზე, რკინასა თუ ხეზე. მათმა უმეტესობამ იმთავითვე გაითქვა სახელი ახლომახლო თურქულ თუ ჩერქეზულ სოფლებშიც. მაგალითად, **მუსა, ქადირ, შევქეთ, ქაზიმ და მუსტაფა იმამები** მუშაობდნენ წისქვილის ქვის ტეხაზე, მოპირკეთებაზე. **რაგიფ-ზეკერია გუმბუში** ცნობილი დურგალი და იყო. **აჰმეთ იმამა** და **აჰმეთ გუმბუში** ცნობილი იყვნენ ხის სახლის მშენებლობით. **ჰალილ იმამა** ცნობილი იყო მჭედლობითა და ცეცხლსასროლი იარაღების შეკეთებით...

ამჟამად სოფელში სხვა სიტუაციაა. იუვაში გაზრდილი ქართველები მაღალ თანამდებობებზე არიან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც. მათით ძალზე ამაყობს სოფელი. აქ დავასახელებთ ზოგიერთს:

1. **აჰმეთ იმამია:** ანკარის უნივერსიტეტი, იურიდიულ ფაკულტეტი დაასრულა და ამჟამად ადვოკატია.
2. **ჰალის გუმბუში:** გერმანიაში, ბერლინის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის დირექტორის მოადგილე, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელი და საკრებულოს წევრია.
3. **ფუნუს ქოჩაქი:** ბანკის დირექტორი, ამჟამად პენსიონერია.
4. **ჟზედარ იმამა:** ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაასრულა. მერე თურქეთის ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა მოხელედ, არის ანგარიშის ექსპერტი.
5. **აბდულოლაჰ ქოსე:** პენსიონერი პედაგოგი და ძველი თურქალის მერიის ვიცე პრეზიდენტი.
6. **აჰმეთ (ჰაჯგ ბექირ) იმამა:** კონიის თეოლოგიური უნივერსიტეტის პედაგოგი და ადმინისტრატორია.

სოფელ იუვაში ყველაზე ხალხმრავალი გვარებია: **გუმბუშ, ქოჩაქ და იმამა**. სოფელელთა უმეტესობა დღეს საცხოვრებლად გადასულია სტამბოლში, იზმირში, ბურსაში, ანკარასა და სხვა ქალაქებში. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, აქაც ისევე, როგორც მთიან აჭარაში, შემორჩენილი იყო **მემთეურობის** ჩვეულება. იუვას უმთავრესი იალადი იყო **ბადირან მაილა**.



თენექე

დღეს ამ სოფელს ოფიციალურად ეწოდება **Altınli**. სახელი, რომელსაც ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები იყენებენ, მათივე თქმით, ოსმალური პერიოდიდან მოდის. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, აქ უმეტესად, ქედადან წამოსული მუჰაჯირები დამკვიდრდნენ. ამჟამად, სოფელში ცხოვრობს სულ 88 კაცი. ადგილობრივ ქართველთა მეტგვარებია: **მემიშოღლი, მუსოღლი, ხოჯიოღლი (აპიოღლი), ქოსიოღლი**.

ჩერმუქი

სოფლის ახალი სახელია Ilıcınarı köyü. აქაურ ქართველთა წინაპრები მაჭახელაიდან მოსულან. ენა დავიწყებული აქვთ, ამბობენ რომ ქართველები არიან. აღნიშნავენ, რომ ადრე, წინაპრებსაც არ სცოდნიათ ქართული. ახლა სოფელში რამდენიმე ოჯახიღაა დარჩენილი. მცხოვრებთა საერთო რაოდენობა სულ 45 კაცია.

ქართულის არცოდნის მიუხედავად, ჩერმუქელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გურჯები არიან, სხვა სისხლი არც ურევიათ და ბოლომდე გურჯებად დარჩებიან. ასახელებენ წინაპართა ტრადიციულ საჭმელებს: **ფხალი, მალახტო, ლობიო, ქეშქექი, მჭადი**.

ტათლიფუნღარი // თათლიფინარი

სოფლის თანამედროვე სახელია Darmaderesi. აქ მხოლოდ მოხუცებმა იციან ქართული. ახალგაზრდებს ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. შენარჩუნებული აქვთ ქართული ცნობიერება. ამ სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის სიტყვებია:

- სისხლით, ხორციტ გურჯები ვართ. ცუდია, რომ ენა დავკარგეთ, მაგრამ ჩვენ ვერავინ მეტყვის თურქი ხარო. მე თურქეთის მოქალაქე ვარ, აქ გავიზარდე და მიყვარს აქაურობა, მაგრამ ქართველი ვარ და სხვა არავინ! დიახ, მუსლიმანიც ვარ. ქართველი ქართველია - მუსლიმანი იქნება, ქრისტიანი თუ წარმართი.

აქაურ ქართველთა ოსმალური მეტგვარებია: **ქემალოღლი, ალთუნოღლი, მურადოღლი, ონბაშიოღლი, ომეროღლი, სეიდიოღლი, იაქუფოღლი, ბამბაოღლი, ჩელებოღლი...** ბევრმა იცის თავისი ძველი ქართული გვარი: **ვაცაძე (ბეშიროღლუ,**



ათამთურქ), ვასაძე, ჯარდენიძე (აიდოლან), ქავთარიძე (შენთურქ, ეიფოლლუ), ქობულაძე, გოგიძე (ულური), გუნდარიძე (ქოსეოლლუ, ერქოჩ), მუთიძე (მუთიოლლუ, მუთლუ)

ასახელებენ წინაპართა სოფლებს: ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ზედვაკე, ეფრატი, ცხემლანა, ბელეთი, ბზუბზუ, ღურტა, რიყეთი.

საინტერესოა, აქაურ ქართველთა მეტსახელები მეტწილად ქართულია: სანატორი, გეიგელი, ჩიჩმუგაი // ჯიჯმუქაი, ქოთმანაი, სიფსიფა, ფათერა, ბულულა, ფულულა, ჯეჯე, წეწე, ფინთისო, ბუნჯა // ბუნჟა, თაჰთაჰა, თახთახა, თაქვი, ჰუმბალა, ხუმფალა, დოშმი, თოსომი, გაფსუნია, ხოთანა, მანი-მანი, ფოსო, წივწივა, გუნთული, კუნტული, ჩოტანი, წოტანი, ფუტკარა, ყობული, აფთარა, ლომპაპი, ჩიტიბუდე, ფუნდუქაი. მეტსახელთა სახელდებისას მითითება ხდება ადამიანთა ხასიათზე, მეტყველების თავისებურებაზე, გარეგნობაზე, მანერებზე...

ქართული კერძების აღმნიშვნელი სახელები

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში ცალკე შეიძლება გამოვყოთ, ქართული კერძების აღმნიშვნელი სახელები: ქალაჯო, წადი, ფიფინა, შორბა, ფხალობია, ხაპიშორბა, წყალშიკვერცხი, მალახთო, სინორაი, ყირყიტოი. ქართულ კერძებს ქინძით კაზმავენ. ქინძი მარტო ჩვენს ბაღჩეებშია, თურქებმა ქინძი არ იციანო - შენიშნავს მთქმელი. ქართულ საჭმლებს ურევენ ნიგოზს...

ასევე ცნობილია, შავი ფხალის ტოლმა - შავი კომბოსტოს ფოთლებში გადავახვევთ დაჭრილ ხახვს, პიტნას, მუხუდოს და დავუმატებთ საწებელსა და სუნელებს. უკვე მომზადებულ ძვლიან ხორცს ნელ ცეცხლზე შემოვდგამთ.

მშრალი ლობიო - ჩვენს სოფელში მოყვანილი ლობიოდან მომზადებული გემრიელი საჭმელი. მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობს ადვილად მომზადებაში, რომელსაც დაჰკრავს ხორცის გემო. შემადგენლობა: მშრალი ლობიო, ხორცი, ხახვი, საწებელი და ცოტა რაოდენობის სუნელი.

სინის ბორექი - ეს არის ხუთი ფენისაგან შემდგარი ნამცხვარი, რომლის შიგნით ახვევენ ნადუღს, კაკალს ან ზამთრის თვეებში ცხიმს, ეს არის ძირითადი საჭმელი, რომელიც ისეთ დღეებზე კეთდება როგორცაა: დღესასწაულები,



ნიშნობა, ქორწილები ან გარდაცვლილთათვის მეორმოცე დღეს. ასევე რამაზანის თვეში საპურას ღამეს აუცილებელი ბორეცია.

ასევე, იციან გოზღემე - ხმიადი.

ტრადიციული საბავშვო თამაშების სახელები

აიწონადაიწონა (გაჯირდაქ) ამ თამაშის სახელი გამომდინარეობს თამაშის დროს გამოცემული ხმისგან. აიწონადაიწონა არის თამაშის ის სახეობა, რომელიც ყველა მოზარდისათვის ხელმისაწვდომია, ღრმა ორმოში მოთავსებულ მსხვილ ხეზე თავსდება ბალანსირებული ბოძი, რომელიც ტრიალის შედეგად ხელს უწყობდა მოზარდების მხიარულებასა და გართობას.

ჯოხბილა (ჩელიქ): ეს თამაში სხვადასხვა სოფელში ფოლადის ტარის სახელით არის ცნობილი, მაგარამ ჩვენს სოფელში ის სხვა სახელით გვაქვს მოწოდებული. ერთი მეტრის დაშორებით ორმოს ზევით ხდებოდა ფოლადის ჯოხის მოთავსება, რომელიც უფრო მოგრძო ჯოხის დარტყმის შედეგად ჰაერში გაიტყორცნებოდა და ძირში ვარდებოდა, ხოლო თუ მოწინააღმდეგეთა ჯგუფი ხელით შეეხებოდა ან დაიჭერდა თამაშის მოგებულად ითვლებოდა. თამაში მიმდინარეობდა ორ ჯგუფს შორის და ხდებოდა თვლა რაც კონკურენციის მაღალი მაჩვენებელია და მას საკმაოდ დეტალური წესები გააჩნია.

დაჭერობანა (ესირ): ეს თამაში შედგება 5 კაციანი ჯგუფისგან, თამაში საჭიროებს შეწინააღმდეგებას, ელასტიურობასა და სწრაფ სირბილს. საკმაოდ დიდი კონკურენცია ახასიათებს. დაახლოებით 50-60 მეტრის დაშორებით განთავსებულ ორ კარს შორის ხდება თამაში.

სომაქი: ერთმეტრიანი ჯოხებით, მრგავალი ოვალური ბურთის მსგავსი ხის ნაწილი ქვაბის სიღრმის ორმოში თავსდება. თამაშს სხვადასხვა დეტალური წესები გააჩნია და მას მინიმუმ სამი კაცი თამაშობს. მეთაური არის მოთამაშე რომელიც წესებს თვითონ ადგენს, ეს თამაში საველე ჰოკეის თვისებებს ატარებს.

გუვერჯინ თაქლასი: 4 კაციანი ორი ჯგუფის თამაშია, რომელიც ავითარებს სპორტულ უნარებს. 4 კაცი ფეხზე ერთმანეთის ზურგს უკან დგება, იხრებიან ფეხებამდე და მათ უკანაც ორი კაცი დგება. მეორე ჯგუფი კი რიგ-რიგობით მათ



წინ იწვევებს. გადანაცვლების დროს თუ ვინმე ძირს დაეცემა, რიგი შემდეგ პიროვნებაზე იწვევებს. თამაში თან კონკურენციის თან გასართობ ელემენტებს ატარებს.

ასევე ახსენებენ თამაშობათა აღმნიშვნელ სახელებს - **ხოდუელა, გარგარი**. მთქმელთა ახსნით, ესენი ქართული საბავშვო თამაშებია, ოღონდ აღარ ახსოვთ, რა სახისაა.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა საერთოდ ვერ შეინარჩუნეს წერითი კულტურა, მეტნაკლებად შემღეს სასაუბრო ქართულის შენარჩუნება, რომელიც დავიწყების ზღვარზეა, სოფლებში შემორჩენილია ქართულენოვანი ფოლკლორიც მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

იგელ გაღმა თეთრი ქვა, ხელი დაგვარ არ ამქვა,
ჰორი ნანაი, ჰორი ნანაი, იგელ გაღმა ნალია,
ჯერ სადილი მალია - ჰორი ნანაი, ჰორი ნანაი.

სახლებზედა ტყიმალი, კონწილ-კონწილ კიდია,
რო არ მინდა ი გოგოი მე რა ჩამომკიდი.

ჩაველ ღელე ღურნეში ერთ გატეხილ სურისთუნ,
გოგო, ერთი გაკოსო მამაშენი სულისთუნ.

ინფორმატორები იხსენებენ, რომ სიმღერა „ჰორი ნანას“ ხორუმის ცეკვის დროს მღეროდნენ. მაშინ, როდესაც მაჭახელიდან ჩამოვიდნენ ჩამოიტანეს ორი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლებსაც განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში უკრავდნენ. სამწუხაროდ ეს ცეკვა-სიმღერები უკვე აღარაა ფართოდ ცნობილი; არც ქორწილებშიც არ მღერიან, დავიწყებას მიეცა.



შემორჩენილია შემდეგი იდიომა: „ვირ ყურ უხევენ - რა ეხახუნება“, რაც ნიშნავს იმას რომ ადამიანი შეიძლება, კარგად ვერც კი აცნობიერებდეს საკუთარ მდგომარეობას.

იმ შემთხვევაში, როცა გოგონას ჭიამაია აჯდებოდა ხელზე შემდეგ ტექსტს ამბობდნენ: „მერიემა ბიბი, მერიემა ბიბი, ჰიმკენიდან დამასახლო“. მათი რწმენით, რომელ მხარესაც ჭიამაია გაფრინდებოდა, იმ მხარეს გათხოვდებოდა.

ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ რომ ამასიის ქართული სოფლების დიდ ნაწილში ქართული ენის დაკარგვის საშიშროება არსებობს, თუმცა ინარჩუნებენ ქართულ იდენტობას. ენის არ მცოდნე ინფორმატორებიც კი დაბეჯითებით ამბობენ, რომ ისინი და მათივე შთამომავლები არასოდეს არ დაკარგავენ ქართველობას, ქართულ ცნობიერებას. და მაინც, მათი გულისტკივილი ასეთია: „ნაღვერდალი ვართ ნაცარში გახვეული; ზოგან მეტია ნაცრის სისქე, ზოგან ნაკლები; ცოტა შეგვეშველეთ, სული შეგვიბერეთ; ნუ დაიღლებით. ვიწვით ჩუმად, უსიტყვოდ... გვწავს და გვტკივა ქართველობა. სული შეგვიბერეთ, დაგვეხმარეთ, რომ არ ჩავქრეთ.“

დამოწმებული ლიტერატურა:

თოფჩიშვილი 2017 - როლანდ თოფჩიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში. თბილისი, 2017;

ფუტკარაძე, 2005: ტარიელ ფუტკარაძე, ქართველები I, თბილისი, 2005;

ფუტკარაძე 2017 - ნანა ფუტკარაძე, ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში. ისტორიის დოქტორის აკად. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ბათუმი, 2017;

ქასაბი, 2019: Murat Kasap, 93 Harbi Batum Muhacirleri, İstanbul, 2019;